„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №17-18 (9583-84) ● 1-30 სექტემბერი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები
№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

№	ოლქის №	ოლქის დასახელება	სახელი	გვარი	თანამდებობა	ამრჩევი/დამნიშნავი
1	64	სენაკი	ცოტნე	შუშანია	კომისიის თავმჯდომარე	ცესკო
2	64	სენაკი	ვახტანგი	ჯალაღონია	კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ცესკო
3	64	სენაკი	ვენერა	პირტახია	კომისიის მდივანი	ცესკო
4	64	სენაკი	ალექსანდრე	ქაჩიბაია	კომისიის წევრი	ცესკო
5	64	სენაკი	თამარი	ჭანტურია	კომისიის წევრი	ცესკო
6	64	სენაკი	ხათუნა	ჭანტურია	კომისიის წევრი	ცესკო(დროებითი)
7	64	სენაკი	ნინო	ოკუჯავა	კომისიის წევრი	ცესკო(დროებითი)
8	64	სენაკი	თამარი	ტყებუჩავა	კომისიის წევრი	ცესკო(დროებითი)
9	64	სენაკი	გიორგი	ჯანჯღავა	კომისიის წევრი	პ/გ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო
10	64	სენაკი	დიმიტრი	შელია	კომისიის წევრი	პ/გ ,,ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები"
11	64	სენაკი	იამზე	გოგინავა	კომისიის წევრი	პ/გ ,,ევროპული საქართველო"
12	64	სენაკი	ბაჩანა	გაგუა	კომისიის წევრი	პ/გ გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი
13	64	სენაკი	თენგიზ	ჩავლეშვილი	კომისიის წევრი	პ/გ ,,საქართველოს ევროპელი დემოკრატები"
14	64	სენაკი	თამუნა	ზარანდია	კომისიის წევრი	პ/გ ,,გირჩი"
15	64	სენაკი	შორენა	დავითაია	კომისიის წევრი	პ/გ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
16	64	სენაკი	მანანა	მურღულია	კომისიის წევრი	პ/გ ევროპელი სოციალისტები
17	64	სენაკი	ეკატერინე	აბშილავა	კომისიის წევრი	პ/გ ,,ლელო საქართველოსთვის"

მუნიციპალიტეტის მერიაში

შეხვედრა 100%-იანი გრანტის მფლობელებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან ერთად, 100%-იანი გრანტის მფლობელ სენაკელ კურსდამთავრებულებს შეხვდნენ, მოპოვბული წარმატება მიულოცეს და ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ახალგაზრდებს ფულადი ჯილდო გადასცეს. 2024 წლის ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი დაფინანსების გრანტი 8 კურსდამთავრებულმა მოიპოვა, 70%-იანი - 11-მა კურსდამთავრებულმა, 50%-იანი კი - 38-მა ახალგაზრდამ. 2024 წელს, სტუდენტის სტატუსი 275-მა სენაკელმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა. ,,ჩვენი მთავარი ღირებულებები სწორედ განათლებაზეა დაფუძნებული. კიდევ ერთხელ გილოცავთ. გისურვებთ შემოქმედებით, ნაყოფიერ და საინტერესო სტუდენტურ წლებს; მჯერა, თქვენი მიღწევებით არაერთხელ ვიამაყებთ და წლების შემდეგ, მშობლიური ქალაქის განვითარებაში თქვენს წვლილს შეიტანთ" - აღნიშნა შეხვედრისას სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ. შეხვედრას ესწრებოდნენ სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი - განათლების მიმართულებით, ირმა კუპრეიშვილი, იმ საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები, რომელთა კურსდამთავრებულებმა ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე მაღალი შეფასება მოიპოვეს.

ახალგაზრდობის კვირეული სენაკში

ჩვენ ვქმნით ახალგაზრდებისთვის, რადგან მომავალი თქვენშია - ამ გზავნილმა სენაკში, ქალაქის განახლებულ ცენტრალურ მოედანზე, ახალგაზრდები და სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები გააერთიანა. დღეს, ქალაქ სენაკში, ახალგაზრდული კვირეული, სხვადასხვა აქტივობებითა და გალა-კონცერტით დასრულდა. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები, გასართობი, შემეცნებითი და ინოვაციური აქტივობებით დაიწყო. გაიმართა ადგილობრივ ახალგაზრდა მეწარმეთა გამოფენა; სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით მოეწყო თანასწორობის სივრცე, სადაც შშმ პირებმა და ახალგაზრდებმა, ფასილიტატორებთან ერთად, ხელთნაკეთი ნივთები დაამზადეს. დამთვალიერებლებს და მონაწილეებს, ნაყინის კუთხემ, ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სენაკის ნაყინით უპასპინძლა. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით მოეწყო ინოვაციური- საგანმანათლებლო სივრცე, გამოიფინა 3D პრინტერი, VR რობოტები; გაიმართა ვორქშოფი თემაზე - ,,ახალგაზრდობის როლი ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებაში'', ასევე, გათამაშება, რომლის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულ ახალგაზრდებს გადაეცათ ამ დღისთვის შექმნილი სიმბოლური საჩუქრები. ახალგაზრდობის კვირეული, ქალაქის განახლებულ ცენტრალურ მოედანზე მოწყობილ სცენაზე, ოთო ნემსაძის და ჯგუფის ,,ლიმბო" კონცერტით დასრულდა. ღონისძიებებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდნენ. ,,ჩვენ ვქმნით თქვენთვის, რადგან მომავალი თქვენშია! - დღეს სწორედ ამ სლოგანმა გაგვაერთიანა. ახალგაზრდობაა ჩვენი იმედი და მომავალი. მომავალი განათლებასა და თქვენს ხელთაა, ჩემო მეგობრებო! მინდა მივულოცო სტუდენტის სტატუსის მოპოვება ყველა სტუდენტს, განსაკუთრებით კი - ჩემს სენაკელ ახალგაზრდებს. გისურვებთ საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებას, წარმატებებს და პროფესიულ წინსვლას. ჩემი მერობის პერიოდში, ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის ფარგლებში, პირველად, 2023 წელს, დავნერგეთ სტუდენტების ხელშეწყობის დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს - 12, მიმდინარე წელს კი - 13 სტუდენტი დავაფინანსეთ. ასევე, პირველად, 2023 წელს, შევქმენით 2023-2026 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, თქვენი მიზნების აღსრულებაში ყოველმხრივი მხარდაჭერა აღმოგიჩინოთ" - აღნიშნა სენაკის მუიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

გაგრძელება მესამე გვერდზე

ქართული ოცნება-მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ 41

ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში:

რამდენჯერმე გაიზარდა ინფრასტრუქტურის მშენებლობის ტემპი;

4-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება;

4,5-ჯერ გაიზარდა ქვეყნის სოციალური ბიუჯეტი;

საქართველომ ევროინტეგრაციის გზაზე ყველა ხელშესახებ შედეგს მიაღწია;

ხელისუფლების პრაგმატულმა პოლიტიკამ საქართველოს 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა. ,,ქართული ოცნების" ხელისუფლება არის პირველი ხელისუფლება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რომლის პირობებშიც ქვეყანას ომი არ ჰქონია;

2012-2023 წლებში საქართველოს ეკონომიკა 28 მილიარდიდან 80 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, 2024 წლის ბოლოს კი 90 მილიარდ ლარს მიაღწევს;

,,ქართული ოცნების" ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს ენერგეტიკის, მრეწველობის, მეწარმეობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

,,26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არის რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ მშვიდობას, მორალურ დეგრადაციას თუ ტრადიციულ ფასეულობებს, ქვეყნის განადგურებას თუ მის ნათელ, ევროპულ მომავალს.

სწორედ ამიტომ, მოგიწოდებთ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, რომლისთვისაც ძვირფასია სამშობლო - გამოდით ქუდზე კაცი და ერთად შევქმნათ მყარი ფუნდამენტი საქართველოს ეროვნული იდენტობის დასაცავად, ქვეყნის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად. გადადეთ ყველაფერი და გამოდით არჩევნებზე, რადგან 26 ოქტომბერს არა პოლიტიკის, არამედ ქვეყნის გადარჩენის საკითხი წყდება.

საქართველოს ბედი ჩვენ ხელშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალ თაობას სამართავად დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველო დავუტოვოთ". (ბიძინა ივანიშვილი - ,,ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარე)

• **აირჩიე მშვიდობა!**

• **აირჩიე ტრადიციული ფასეულობები!**

• **აირჩიე საქართველოს ევროპული მომავალი!**

ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა-,,ერთიანობა ევროპული კეთილდღეობისათვის 5

ერთიანობის 5 პრიორიტეტი

1. **კი ევროპას!**

* ევროკავშირის პასპორტი და **14-მილიარდიანი** ევროპული მხარდაჭერა ქვეყნის აღმშენებლობისათვის.

* **უვიზო** მიმოსვლა **აშშ-სთან.**

*ევროკავშირის ზედამხედველობით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი **ანტიკორუფციული სამსახური.**

2. **შემოსავლების ზრდა**

* მაღალშემოსავლიანი, სტაბილური სამუშაო ადგილები-**საშუალო** ხელფასი 3500 ლარი, **მინიმალური** ხელფასი 1500 ლარი.

* 300 ლარიანი საბაზისო დანამატი სოფლად მცხოვრებთა და დევნილებისათვის.

* გარანტირებული საპენსიო დანაზოგი ემიგრანტისთვის, **მიხეილ სააკაშვილის** ფონდი-**1 მილიარდი** ევრო ემიგრანტების დასაბრუნებლად

3. **პენსიონერების დაცვა**

* საპენსიო **სესხების ჩამოწერა** 2024 წლის 1 დეკემბერს.

* **1000 ლარიანი პენსია** პენსიონერებისათვის, შშმ პირებისა და ომის ვეტერანებისათვის.

* **მედიკამენტების** სუბსიდირება პენსიონერებისათვის.

4 **ძლიერი ოჯახი**

* ყოველთვიური **დახმარება ახალშობილისათვის**, ყველა ბავშვის უზრუნველყოფა ხარისხიანი საბავშვო ბაღითა და სკოლაში **უფასო კვებით.**

* მასწავლებლის მინიმალური ხელფასი -2000 ლრი, ბინები დამსახურებულ **მასწავლებლებს, სტუდენტებისათვის** საერთო საცხოვრებელი და ბინის ქირის სუბსიდირება.

* **ნარკომაფიისაგანა გათავისუფლება**, მომხმარებლის რესოციალიზაცია და ზრუნვა.

5. **ფასების მაფიის დასრულება**

* მონოპოლიების დასრულება ყველა სფეროში, საბანკო **პროცენტების განახევრება.**

* სახელმწიფო ადმინისტრციულ მომსახურებაზე ფასებისა და არსებული **ჯარიმების განახევრება.**

* მეტი ქართული წარმოება, საწარმო ყველა რეგიონში, 1-მილიარდინი ევროკავშირის **სუბსიდია სოფლის მეურნეობისათვის.**

არჩევანი მარტივია!
გააფერადე და აირჩიე 5

პარტია ,,გახარია საქართველოსთვის" 25

ჩვენს პატარა და კოხტა ქალაქში, სადაც ნაცნობობა ბადებს ერთიანობას და ყოველი ღიმილი ატარებს ურთიერთობის ისტორიას, დევს უზარმაზარი პოტენციალი, რომელიც ელოდება გამოვლენას! უნდა გავერთიანდეთ გააზრებული განვითარებისთვის, რომელიც პატივს სცემს ჩვენს მემკვიდრეობას და გზას გაუხსნის ნათელ ხვალინდელ დღეს!

სენაკი არ არის უბრალოდ პატარა ქალაქი სამეგრელოში. ის განასახიერებს მდიდარ კულტურულ, საგანმანათლებლო და სულიერ ტრადიციებს რეგიონში. ის ასევე გამოხატავს გამძლეობას მრავალ რთულ წლებში და გაჭირვებაში, სადაც მეგობრები, მეზობლები და ახლო ნათესავები მხარდაჭერის საყრდენები არიან.

როგორც პროცესები გვიჩვენებს, ჩვენ შევდივართ გადამწყვეტ მომენტში. საჭიროა კურსის აღება, რომელიც აბალანსებს განვითარებას შენარჩუნებასთან, ინოვაციას ტრადიციებთან.

წარმოიდგინეთ სენაკის ქუჩები, რომლებიც სავსეა შესაძლებლობებით, სადაც ადგილობრივი წარმოება ვითარდება და სიცოცხლე იგრძნობა. სენაკელებმა ერთად უნდა გავაძლიეროთ ინიციატივები, რომლებიც ამაღლებს, აძლიერებს და გამოხატავს ჩვენი ქალაქის უნიკალურ და გამორჩეულ იდენტობას.

ჩვენი პატარა ქალაქის ბედი ჩვენს ხელშია. მოდით შევქმნათ ნამდვილად ღირსეული, ნამდვილი კეთილდღეობის და ნამდვილი განვითარების მემკვიდრეობა!

ცვლილებებისკენ სვლაში თითოეულ ხმას მნიშვნელობა აქვს!
გააფერადე 25

საქართველოს პრლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებს პოლიტიკური რეკლამისათვის (ფასიანი და უფასო) გაზეთ ,,კოლხეთში" გამოყოფილი

გაზეთი

აქვს მეორე და მესამე გვერდები. თვითეულ პოლიტიკური პარტიის რეკლამას დაეთმობა

ბანერი

თანაბარი ფართი- გვერდის მესამედის ოდენობით. მსუურველებმა მოგვაწოდეთ თქვენი სარეკლამო მასალები.

გაზეთი ,,კოლხეთი"

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ვიზიტი სენაკში

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ოთარ შამუგია, საქართველოს პარლამენტის წევრთან, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარ დეპუტატთან, გიორგი ხახუბიასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ვახტანგ გადელიასთან, საკრებულოს

თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან, სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, დავით წითლიძესთან და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტში, შპს "ჯეონათის" თხილის ბაღში, თხილის მსხვილ მწარმოებლებს შეხვდა. "წელს ველოდებით უფრო მეტ მოსავალს, ვიდრე გასულ წელს იყო. რაც შეეხება ფასს, დაახლოებით, 30-40% მაღალია საშუალო და მაღალი ხარისხის თხილის ღირებულება, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ეს ნიშნავს იმას, რომ წელს ფერმერები მიიღებენ მნიშვნელოვნად მეტ შემოსავალს თხილის რეალიზაციიდან - წელს მეთხილე ფერმერების შემოსავალი 250 მლნ ლარზე მეტი იქნება", - განაცხადა ოთარ შამუგიამ. შპს "ჯეონათის" დირექტორის, დავით ხუროძის თქმით, მათი კომპანია რამდენიმე სახელმწიფო პროგრამით სარგებლობს, ერთ-ერთი შეღავათიანი აგროკრედიტია. მეთხილეობის დარგის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთი -ერთი მთავარი მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო ფერმერების მხარდასაჭერად არაერთ პროექტს ახორციელებს. ხელშეწყობა მოიცავს თხილის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლს. თხილის კულტურის პირველადი წარმოების ხელშეწყობა პროგრამის - "დანერგე მომავალი" ფარგლებში ხორციელდება. საქართველოს მასშტაბით, 1.180 ჰა-ზე თხილის ბაღების გაშენება თანადაფინანსებულია 1.180 ჰა-ზე. მათ შორის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - 604 ჰა-ზე. რაც შეეხება შეღავათიან ფულად რესურსზე ხელმისაწვდომობას, თხილის ბაღების გაშენებისა და მოვლის მიზნობრიობით, საქართველოს მასშტაბით, ბანკების მიერ გაცემულია 50 მლნ. ლარის ღირებულების 927 სესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება კი - 13.9 მლნ ლარს აღემატება; მათ შორის, სამეგრელოს რეგიონში გაცემულია 12.8 მლნ ლარის ღირებულების 174 სესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება - 3.7 მლნ ლარს აღემატება.

შეხვედრა საფეხბურთო გუნდთან

საქართველოს პარლამენტის წევრი, გიორგი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე. სენაკის საფეხბურთო გუნდ

,,ეგრისის" ფეხბურთელებს და მწვრთნელებს შეხვდნენ, არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს და სამოქმედო გეგმები დასახეს. ,,ჩვენი მიზანია სენაკის საფეხბურთო გუნდი ,,ეგრისი", მიმდინარე ჩემპიონატში, შემდეგ ლიგაში გადავიდეს, რაშიც გუნდის სრულ შემადგენლობას მაქსიმალურ მხარდაჭერას ვუცხადებ. ჩვენი მთავრობის და პირადად ჩემი დიდი ინტერესია, მეტად შევუწყოთ ხელი და განვავითაროთ სპორტის სხვადასხვა სახეობები, ამ მიმართულებით, მომავალშიც, საკმაოდ ამბიციური გეგმები გვაქვს" - აღნიშნა შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი ხახუბიამ. ,,აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქალაქს სპორტული მიღწევებისა და ტიტულოვანი სპორტსმენების აღზრდის დიდი ტრადიცია აქვს, რასაც სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოპოვებული გამარჯვებები ადასტურებენ. სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაციის კუთხით, სენაკის მუნიციპალიტეტში, არაერთი მნიშვნელოვანი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ, მიმდინარეობს და ვგეგმავთ. მიმდინარე წელს, სენაკს სამი მინი სპორტული მოედანი შევმატეთ: ქალაქის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მოვაწყვეთ ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო მინი სპორტული მოედანი; სპორტული მოედნები ასევე მოვაწყვეთ თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გოლასკურსა და ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის გახომელას უბანში. ამ ეტაპზე, სამი მინი სპორტული მოედნის მშენებლობას ვახორციელებთ შემდეგ ლოკაციებზე: ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში; პროექტის ღირებულება 65 953 ლარს შეადგენს; ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ღირებულებით - 78 106 ლარი; ქალაქად, საჯაიას ქუჩის მიმდებარედ; პროექტის ღირებულება 30 941 ლარს შეადგენს. სპორტული ტრენაჟორები ეწყობა ორ ლოკაციაზე: ვაჩნაძის ქუჩაზე, ღირებულებით - 39 096 ლარი და ღვინჯილიას ქუჩაზე, ღირებულებით - 38 681 ლარი. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის ფარგლებში დამონტაჟდება ხელოვნურსაფარიანი მოედნები, კალათბურთის ფარები, გარე განათების სისტემა, შემოღობვის კონსტრუქციები და სხვა" - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ. ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის ფარგლებში, სენაკს 10 მინი სპორტული მოედანი შეემატა. უახლოეს პერიოდში იგეგმება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით, ბელიაშვილისა და ვახტანგ გორგასლის ქუჩებზე, ორი სპორტული მოედნის მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მერიის
საზოგადოებასთან ურთიერთობის
და ინფორმაციული უზრუნველყოფის
განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 3 სექტემბერს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო სამი საკითხის განხილვა.

1.ენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 სეტქემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე.

2.საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ".

3. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

სამივე საკითხზე მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

***

2024 წლის 12 სექტემბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხ-

თა კომისიის სხდომა.

სხდომას, კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. (ა)ი.პ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიენების" 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, ა.(ა)ი.პ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიენაბის" მიერ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

***

2024 წლის 17 სექტემბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისია.

სხდომას, საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია უძღვებოდ

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა

1.სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2024 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია.

სხომაზე დამსწრე წევრების გადაწყეტილებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2024 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

***

2024 წლის 18 სექტემბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია უძღვებოდა

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. 2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სენაკის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მხრივ გათვალისწინებული სამუშაოების თაობაზე ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ირაკლი საჯაია.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი
სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

ახალი სასწავლო წელი დაიწყო!

16 სექტემბერს მუნიციპალიტეტის სკოლებში საზეიმოდ აღინიშნა ახალი სასწავლო წლის დაწყება, რედაქცია ულოცავს განათლების სექტორის თითოეულ წარმომადგენელს და მოსწავლეს ამ დღეს და უსურვებს წარმატებებს.

შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

2024-2025 სასწავლო წელს ქალაქ სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 385.

მათ შორის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულთა რაოდენობა არის 275.

100% - გრანტი მოიპოვა 8 კურსდამთავრებულმა,

70% - 11 კურსდამთავრებულმა.

50% - გრანტი მოიპოვა 38 კურსდამთავრებულმა.

ვულოცავთ თითოეულ მათგანს მიღწეულ წარმატებებს და ვუსურვებთ ნაყოფიერ, შემოქმედებით და შედეგზე ორიენტირებულ ახალ 2024-2025 სასწავლო წელს.

სენაკის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი

ცხოვრების ახალი ეტაპი

ძვირფასო პირველკლასელებო, დაიწყო მნიშვნელოვანი დღეები თქვენს ცხოვრებაში. თქვენს წინაშე გაიღო სკოლის კარი, რომელიც ბევრ საინტერესო, უცნობ და ლამაზ სიახლეებს გპირდებათ. იყავით გულმოდგინე და ბეჯითი. მალე მიხვდებით, რამდენად დიდი და საოცარია ცოდნის სამყარო.

გილოცავთ ცოდნის დღეს. გისურვებთ თამამად გადადგათ პირველი ნაბიჯი სკოლაში და თავდაჯერებულად გაგრძელოთ გზა დიდი ცოდნისკენ.

ალექსანდრა ხახუბია

ალექსანდრა კერძო სკოლა ,,მარიოტას" პირველკლასელია. ნიჭიერმა და ჭკვიანმა გოგონამ საბავშვო ბაღ ,,ფერადი სამყაროში" გამოავლინა გონიერება და მიზანსწრაფულობა, ისწავლა ლექსები, ზღაპრები, იცის წერა, გამართულად კითხულობს, განსაკუთრებით უყვარს მათემატიკა.

,,მარიოტაში" წასვლა იმიტომ უხარია, რომ მისი და ანასტასიაც იქ სწავლობს.

,,ჩემი აზრით, სკოლა კარგია, წერაც ვიცი, კითხვაც, მათემატიკაც მიყვარს ძალიან, მაგრამ სკოლაში უფრო კარგად ვისწავლი"-ამბობს იგი.

სკოლაში წასვლას ალესანდრას ულოცავენ დედ-მამა ნათია არჩაია და დავით ხახუბია, უსურვებენ წარმატებულ მომავალს.

ვაკო გვარამია

ეს სიმპატიური ბიჭი ვაკო გვარამიაა, ისიც საბავშვო ბაღ ,,ფერადი სამყაროს" აღზრდილია. უხარია, რომ სკოლაშიც ალექსდნრასთან ერთად ისწავლის. მისი უფროსი ძმა ვატოც ,,მარიოტელია". გონიერი და ჭკვიანი ბიჭია, ბაღში ბევრი რამ ისწავლა: მარტივი მათემატიკური მოქმედებები, ქართული ლექსები, ზღაპრები. განსაკუთრებით უყვარს კომპიუტერული თამაშები.

თეკო ბაქრაძე და გიგა გვარამია ყველანაირად ცდილობენ ვაკოს ლაღი ბავშვობა ჰქონდეს. აქედანვე უნერგავენ საყვარელ პირმშოს სამშობლოს სიყვარულს, ულოცავენ პირველ ნაბიჯებს ცოდნის მოსაპოვებელ გზაზე და უსურვებენ ნაკითხი და განათლებული ბიჭი გახდეს, გამოადგეს თავის სამშობლოს.

გაბრიელ შონია

16 სექტემბერი მნიშვნელოვანი დღეა გაბრიელის ცხოვრებაში, პირველად შეაღო სკოლა ,,მარიოტას" კარები და მიუჯდა სასწავლო მერხს, გაიცნო თამუნა მასწავლებელი, თანატოლები.

გაბრიელი კეთილი, თბილი და მოსიყვარულე ბიჭია, საბავშვო ბაღ ,,ზღაპრულ კოშკში" შეისწავლა ლექსები, სიმღერები, მათემატიკური მოქმედებები, უყვარს ხატვა, ძერწვა. ამიერიდან სხვა სამყარო გადაიშლება მის წინაშე, დაფაზე მრგვლოვანით გამოყვანილი ქართული ანბანი, უფრო რთული მათმატიკური მოქმედებები,ხელოვნების, ბუნების გაკვეთილები.

მშობლები ლალი არახამია და ირაკლი შონია სკოლაში წასვლას ულოცავენ გაბრიელს და მის მეგობრებს, ყველა პირველკლასელს. უსურვებენ წარმატებებს, სიახლეებით აღსავსე დღეებს.

ანდრო კემულარია

ანდრო მოუთმენლად ელოდებოდა 16 სექტემბერს, როცა პირველად შეაღებდა № 1 საჯარო სკოლის კარებს, სადაც შეეგებებოდა სალომე მასწავლებელი და სხვა პირველკლასელებთან ერთად მიუჯდებოდა სასწავლო მერხს. ეჩქარებოდა დედაენის ჯადოსნურ სამყაროში მოხვედრა. ნიჭიერი და მიზანდასახული ბიჭია. იცის უამრავი ლექსი, სიმღერა, ზღაპრები, უყვარს ქართული და სამეჯლისო ცეკვები, წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებში და არაერთი დიპლომი და სიგელი აქვს მიღებული. სკოლაშიც უნდა გამოიჩინოს სიბეჯითე და გულმოდგინება, ,,დაიპყროს " ცოდნის სამყარო და ასახელოს მშობლები, ბებიები, ახლობლები, მათ შორის თავის საყვარელი №1 საბავშვო ბაღი

დედა დიანა კვაშილავა, მამა კონსტანტინე კემულარია ულოცავენ ანდროს და მის თანატოლებს სასწავლო წლის დაწყებას, უსურვებენ ბედნიერ მომავალს და უღრუბლო ზეცას.

ნუცა კვიტატიანი, გიგი დავითაია

მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო თქვენს ცხოვრებაში ნუცა და გიგი. დღეიდნ მეტი პასსუხისმგებლობა, მონდომება გმართებთ სწავლის გზაზე. გირჩევთ, არ დაიზაროთ და იმეცადინოთ, იკითხოთ ბევრი, რადგან ყველაზე დიდი სიმდიდრე ცოდნაა.

ლუკა გოგიჩაიშვილი

ჩემო საყვარელო ლუკა, გილოცავ სკოლაში წასვლას, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, გულმოდგინედ ისწავლე, გახდი მიზანსწრაფული, მიღწეულით არასდროს დაკმაყოფილდე. მუდამ წინ იარე, რათა იყო უფრო მეტად მდიდარი ცოდნით.

დალი გოგიჩაიშვილი

დალი გოგიჩაიშვილი

გილოცავთ

ჩემო უკვე დაფრთიანებულო, სანაქებო გოგო-ბიჭებო: მათე ხურცია, ნიკოლოზ ნინუა, ლიზი გრიგოლია, ლიზი ჩოჩია, ნინი ხარებავა, ნინი გოგავა, ირინა თათარიშვილი, დიანა ბახტაძე გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, მჯერა ვიამაყებ თქვენით, ულევ წარმატებებს და ნაყოფიერ სასწავლო წელს გისურვებთ. მე ყოველთვის თქვენს გვერდით ვიქნები, როგორც უფროსი მეგობარი. მიყვარხართ და მეიმედებით.

თქვენი
დალი მასწავლებელი

მასწავლებელი - თაობათა სულის მკვებავი

ანტიკურმა ცივილიზაციამ თავისი კვალი დატოვა კაცობრიობის განვითარებაზე სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, გამონაკლისი არ არის, არც განათლების სფერო და მისი საწყისები. სწორედ, ტერმინი "პედაგოგიკა", მომდინარეობს ძველი საბერძნეთიდან და ამ ცნებაში იგულისხმება მეცნიერება ადამიანის აღზრდისა და განათლების შესახებ. პედაგოგიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ძირითადი მამოძრავებელი ძალაა მასწავლებელი, რომელიც ეწევა ადამიანთა სწავლებასა და მაქსიმალურად ცდილობს მათ განათლებას. მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ცოდნას, ავლენს ადამიანთა შესაძლებლობებს, უნვითარებს საზოგადოებაში წარმატებული ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარებს, გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მის მსოფლმხედველობაზე, ღირებულებებსა და მორალზე. "მასწავლებლი" უფრო ფართო ცნებაა - მისი საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ ბავშვებთან და მოზარდებთან, არამედ სხვა უფრო დიდ ასაკობრივ ჯგუფებთან საგანმანათლებლო ურთიერთობას . . . ზოგადად, ,,პროფესია მასწავლებლის" არსს პოეტურად გადმოგვცემს - იოსებ ნონეშვილის ლექსი -

,,მასწავლებელი - ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი.
მასწავლებელი - ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი". . .

მე, თვითონ, პედაგოგების ოჯახიდან ვარ, ჩემი ბაბუა და ბებია იყვნენ სკოლის მასწავლებლები, ამიტომ ჩემთვის ორმაგად აღმატებულია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებზე საუბარი.

საქართველოს მრავალი სახელოვანი პედაგოგი ყოლია მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დაწყებული ანტიკური ეპოქიდან, შუა საუკუნეებით გაგრძელებული, ვიდრე დღემდე, მაგრამ რასაც ჰქვია, მეცნიერულ დონეზე პედაგოგიკის ფუძემდებლად ითვლება ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც მოგვცა ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნები მოსწავლეთათვის - "ბუნების კარი" , "დედა ენა" . . .

ადამიანის პიროვნულ განვითარებას, საზოგადოების და სახელმწიფოს წარმატებას, ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძვლად უდევს ძლიერი განათლების სისტემა, რომლის არსებობაც წარმოუდგენელია პედაგოგების დაუღალავი შრომის გარეშე. როგორც ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლის მიერ გაწეულ ჯაფას, ერისა და ქვეყნის წინაშე, ასევე პედაგოგის ღვაწლს სჭირდება შესაბამისი დაფასება.

ყოველი წლის სექტემბრის თვე ახალი სასწავლო წლის დაწყების დროის მონაკვეთია, ის ცხოვრებას აფერადებს მოსწავლეთა ფუსფუსით, ქუჩებს მოსავს თეთრი ფერებით, ბავშვების ხმაურიანი ჟრიამულით ... მოკლედ, ქალაქის დროის მდინარება შედის ცოცხალ ფაზაში და წლევანდელი წელიც არ იყო გამონაკლისი...

წელს, 16 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა ცოდნის დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც ისტორიულ-დოკუმენტური სპექტაკლის - ,,განათლება - გზა ხსნისა'' პრემიერით გაიხსნა - თეატრალურმა წარმოდგენამ შესანიშნავი არტისტიზმით, პერსონაჟთა ბუნებრივად წარმოსახვის ოსტატური უნარით მოგვითხრო, მეცნიერულ დონეზე პედაგოგიკის ფუძემდებლის, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის სიძნელეებით დახუნძლული და ამავე დროს საინტერესო ცხოვრების ისტორია...

სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა: ლალი გაბელაიამ, ეკა კოღუამ, ეთო მაღლაკელიძემ, ირაკლი ადამიამ, ლადო კოკაიამ; ახალგაზრდა მსახიობებმა: ანასტასია ზუხბაიამ, უშანგი ჩიქობავამ, ცოტნე კაციამ და რაულ კიკალეიშვილმა. სპექტაკლის სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი გახლდათ ბატონი ვახტანგ ნიკოლავა.

საღამოს მეორე ნაწილი, საკონცერტო ნომრების თანხლებით, პერიოდული შესვენებებით, დაეთმო განათლების, სკოლამდელი აღზრდის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროებში მოღვაწე პედაგოგების დაჯილდოებას, რომელთაც

2023-2024 სასწავლო წელს გამორჩეულ წარმატებებს მიაღწიეს. დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდნენ მსახიობები: ირაკლი ადამია, ლადო კოკაია, ეკა კოღუა, ეთო მაღლაკელიძე და პედაგოგი, ნანა თავართქილაძე. წელს პირველად საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემია და ფულადი პრიზი გადაეცა გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის N1 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელს, ბატონ მამუკა კუჭავას, აღნიშნულთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა ვახტანგ გადელიამ საზეიმო ვითარებაში, მერიის სახელით გადასცა სიგელი და ფულადი ჯილდო ათასი ლარის ოდენობით. ასევე სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა იმ სკოლის დირექტორებს, რომელთა მოსწავლეებმაც 100%-იანი გრანტი მიიღეს: გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნინო გოგელიძე, ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის N2 საჯარო სკოლის დირექტორი, ბატონი დემნა ჭანტურია, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამის საჯარო სკოლის დირექტორი, ბატონი გიორგი ხურცილავა, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა გიმნაზიის დირექტორი, ქალბატონი ნინო ჯანჯღავა, სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის დირექტორი, ქალბატონი ნანა ნორაკიძე, სენაკის კერძო სკოლა მარიოტას დირექტორი, ქალბატონი ნონა კუპრეიშვილი.

წელს პირველად დაჯილდოვდნენ 70%-იანი გრანტის მფლობელი მოსწავლეები.

ხელოვნების სფეროს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ქალბატონმა ნანა ზარანდიამ წარმატებები მიულოცა და საპატიო სიგელები გადასცა ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისთვის: სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელს, მუსიკის პედაგოგს, ქალბატონ რუსუდან მილიუტინს და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელს, ხატვის პედაგოგს, ბატონ მამუკა ბარქაიას; 2023-2024 სასწავლო წელს მიღწეული წარმატებისათვის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ქორეოგრაფს, ბატონ გიორგი კორშიას.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა ზაზა ნაჭყებიამ, 2023-24 წელს პედაგოგიურ საქმიანობაში მიღწეული წარმატებები მიულოცა და საპატიო სიგელები გადასცა: სენაკის მუნიციპალიტეტის №6 ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგს, ქალბატონ თამარ ქანთარიას; შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრის მოწვეულ მასწავლებელს, ბატონ ლევან არზიანს.

2023-24 წელს, სპორტის სფეროში, კერძოდ - კალათბურთსა და ფეხბურთში მიღწეული წარმატებებისთვის, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, ბატონმა გივი მისაბიშვილმა საპატიო სიგელები გადასცა და წარმატებები უსურვა - სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების მწვრთნელ-მასწავლებელს (კალათბურთი), ბატონ შოთა კუჭავას, სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის მწვრთნელ-მასწავლებელს, ბატონ მურად კუპრეიშვილს.

სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ქალბატონმა ელისო შურღაიამ 2023-24 სასწავლო წელს მიღწეული წარმატებებისთვის საპატიო სიგელები გადასცა და ახალი სასწავლო წელი მიულოცა: გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის N1 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელს, ბატონ მამუკა კუჭავას; ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის N2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ნანა თავართქილაძეს; ქალაქ სენაკის N3 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს, ქალბატონ ნინო ფირცხალავას; ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელს, ქალბატონ მზია ბარქაიას; არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს, ქალბატონ ელენე ჯინორიძეს; სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელს, ბატონ ალექსანდრე შამათავას; სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ მენჯის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ელისო ლემონჯავას; სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ქიმია/ბიოლოგიის მასწავლებელს, ქალბატონ ნაირა ბერულავას; სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელს, ბატონ არჩილ ჯღამაიას; სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ნინო მიქავას; სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელს, ქალბატონ ელისო ტაბატაძეს; წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ რუსუდან მურღულიას; სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის მათემატიკის მასწავლებელს, ქალბატონ მზევინარ ნინუას.

დაჯილდოების ცერემონიალის ბოლოს, დასკვნითი სიტყვით, პედაგოგების სახელით გამოვიდა ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის N2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი ნანა თავართქილაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების მესვეურთ, დამსწრე საზოგადოებას და ღრმა ისტორიულ-ლიტერატურული ერუდიციით განმსჭვალული საქართველოს საგანმანათლებლო მატიანის მცირედი ექსკურსი შემოგვთავაზა.

ღონისძიების საკონცერტო ნაწილს ამშვენებდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის მოსწავლეები და ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,მეგა''.

საღამოს ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ბადრი ქუთელია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა, საგანმანათლებლო სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, შესაბამისი სამსახურების, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ბეჯითი შრომითა და მეოხებით წარმატებულად დააორგანიზა და ჩაატარა აღნიშნული ღონისძიება.

გაზეთ ,,კოლხეთის" კოლექტივი უერთდება ახალი სასწავლო წლის დაწყების საზეიმო პათოსს, ულოცავს მოსწავლეებს, მასწავლებლებს სასწავლო პროცესის განახლებას, უსურვებს მათ წარმატებას ბედაგოგიურ და საგანმანათლებლო ასპარეზზე!

გიორგი გარუჩავა

ცალ ცერზე მდგომი თეთრჩოხიანი რაინდი

არქაული არტეფაქტები ვლინდება არა მხოლოდ მატერიალურად შექმნილი ძეგლებით, არამედ სხვადასხვა შემოქმედებითი მოღვაწეობით (ფოლკლორით), რომელიც გადმოქცევმს ერის წარსულის კერძო ყოფით თუ საზოგადო კულტურას, სწორედ სხეულით განფენილი როკვაც მოგვითხრობს ერის თვითმყოფადობის შესახებ, რომლის შესანიშნავი მაცნეა ანსანბლი ,,სუხიშვილები"...

ალპინისტური სვლით დალაშქრული სიმაღლეები, დროთა მსვლელობით შთანთქმული, სირთულეებით მოპოვებული ცხოვრების მშვენიერება, ნახტომი, რომელმაც ოქროს ასოებით ამოტვიფრა თაობის ქრონოლოგია... დიახ! - 60-იან წლებში სუხიშვილების ტრიუმფალურმა სვლამ დედამიწის მერიდიანზე შექმნა ეპოქა, რომელსაც - ,,ოქროს თაობა" ეწოდა... ამ ,,ისტორიული აქტის" ფორმირებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა **შალვა (ჯამუ) გარუჩავამ**, რომლის ცალმა ცერმა ჯადოსნური მოქნილობით თავბრუ დაახვია არა ერთ სცენას -

განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში ნასროლი და დაჭერილი უნიკალური კადრი, რომელიც სამუდამოდ დარჩება საკაცობრიო მეხსიერებას - იტალიაში, ქალაქ მილანში, ლასკალას თეატრში ცეკვა ,,შეჯიბრის" შესრულებისას, დარბაზის მესამე იარუსიდან ნასროლ იქნა ყვავილის თაიგული, რომელიც ბუნებრივად, ჰაეროვანი მანევრით დაიჭირა და უკანვე დაუბრუნა ადრესატს, ეს იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და შეუჩერებელი ტაშისცემით მოიცვა მანდ არსებული საოცარი გარემო...

ამერიკაში გასტროლებისას, რომელიც გაიმართა ,,ხელოვნების დიდი ფესტივალის ეგიდით", ანსანბლი ,,სუხიშვილები" წარმოდგენილი იყო ცამეტი მოცეკვავით, ერთ-ერთი კონცერტი ქალაქ ლოს-ანჟელესში ჩატარდა, აღფრთოვანებულმა მეგაპოლისმა თავისი ემოციები გადმოსცა ადგილობრივი გაზეთის პირველ ფურცელზე, ცალ ცერზე მდგომი თეთრჩოხიანი შალვა (ჯამუ) გარუჩავას დასურათებით, რომელსაც ამშვენებდა წარწერა - ,,ეს ერთი მოცეკვავე მთელ რუსულ ფესტივალს უდრის"...

შალვა (ჯამუ) გარუჩავა იყო არაერთი ფესტივალისა და დეკადის წარმატებული მონაწილე - 1953 წელს ბრიუსელში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალზე ლაურეატი გახდა, 1958 წლის მოსკოვის დეკადის ტრუმფატორი და ა.შ.

გადიოდა წლები, ცხოვრება თავის მოთხოვნებსა და სტანდარტებს სთავაზობდა კაცობრიობას, მისი მდინარება ბუნებრივად აქანავებდა მოკვდავის ბედის სასწორს, მას სდევდა თავისი ბარიერები, სადაც წინააღმდეგობები დაღს ასმევდნენ ადამიანის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯამრთელობას, რომელიც საბოლოოდ ასაკში ჰპოვებდა განსახიერებას... შალვა (ჯამუ) გარუჩავა მიუახლოვდა საუკუნის ბოლო მეოთხედის უკანასკნელ ზღვარს, გადააცილა ცხრა ათწლეულს და ჩამოუქროლა 95 წელს... ვულოცავ ჯამუ ბაბუს 95-ე დაბადების დღეს! ვუსურვებ ჯამრთელობას, მშვიდობას, მატერიალურ კეთილდღეობასა და დიდხანს სიცოცხლეს!... ის დღესაც ცალ ცერზე მროკავი, მხნეობით მიაფრქვევს ცხოვრებისეულ ტალღებს...

გ. გარუჩავა

გრანტის მფლობელები

წარმატებული გამოცდები

16 სექტემბერს რესპუბლიკის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა ათასობით ახალგაზრდას მისცა საშუალება სრულად გამოევლინა საკუთარი შესაძლებლობები, დამსახურებისამებრ მოეპოვებინა შესაბამისი გრანტი და გამხდარიყო საოცნებო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

მიმდინარე წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით არაერთმა საჯარო თუ კერძო სკოლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და გახდა სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტი.

ანა კემულარია, სსიპ გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის №1 საჯარო სკოლა - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (100% გრანტი).

მათე მამულია, სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (100% გრანტი).

ირაკლი ჯანაშია, სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (100% გრანტი).

უტა სიჭინავა, სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის №2 საჯარო სკოლა- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (70% გრანტი).

ზურაბ ხარგელია, სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის №2 საჯარო სკოლა- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მედიცინა (100% გრანტი).

ლიზი კაჭარავა, სენაკის კერძო სკოლა ,,მარიოტა"- კავკასიის უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტი (100% გრანტი).

ლიზი გაბელია, სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის №2 საჯარო სკოლა- სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსი (70% გრანტი).

მაგდა ძაძამია, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლა- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციოლოგია (100% გრანტი).

ლუკა ხარებავა, სენაკის კერძო სკოლა ლიცეუმი-ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტი (ინგლისურენოვანი) (100% გრანტი).

თედო ლორჩოშვილი, სენაკის კერძო სკოლა ,,მარიოტა"- კავკასიის უნივერსიტეტი, ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია (100% გრანტი).

გიორგი პაჭკორია, სსიპ გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის №1 საჯარო სკოლა- სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსი(70% გრანტი).

მოამზადა მაია გერგაიამ

,,ჩვენი ქალაქის დღე"

სენაკი, რეგიონში გამორჩეული ისტორიის და პოტენციალის ქალაქად ითვლება.

ქალაქის დაარსების თარიღის აღნიშვნა-განვლილი გზის შეჯამების შესანიშნავი საწყაოა. 10 სექტემბერს, 17 საათზე აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში ქალაქის დაარსების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,ჩვენი ქალაქის

დღე" ჩატარდა. ღონისძიება მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის (უფროსი გ. მისაბიშვილი) ორგანიზებით მოეწყო.

სასცენო დეკორაციები იყო ერთგვარი ისტორიული ექსკურსი, რომელიც დამსწრე საზოგადოებას აწვდიდა საინტერესო მონაცემებს ქალაქის ცალკეულ უბნებზე, მნიშვნელოვან მოვლენებზე, სახელოვან სპორტსმენებზე, უნიკლურ ძეგლებზე, ღირსშესანიშნავ ადგილებზე.

საღამოს უძვებოდნენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია და თეატრმცოდნე, ტელეწამყვანი ნიკოლოზ ნულუკიძე. მათ საინტერესოდ გააცოცხლეს ისტორიული ფაქტები რკინიგზის გაყვანის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების,ნოქალაქევის ციხე-გოჯის, იშვიათი სამკურნალო მინერალური წყლების შესახებ.

განხილულ იქნა სენაკში თეატრალური ხელოვნების განვითარების ეტაპები, ძმები თავართქილაძეების სტამბაში დაბეჭდილი უნიკალური წიგნები. ყურადღება გამახვილდა სენაკის ღირსეული ადამიანების შალვა დადიანის, აკაკი ხორავას, ნესტორ ესებუას, ვალერიან გუნიას, გრიგოლ და ნიკო დადიანების, გიორგი ჭალადიდელის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად შტრიხებზე.

წამყვანებმა განსაკუთრებული მოკრძალება დააფიქსირეს სენკის მფარველი წმინდანის ალექსი სენაკელის (შუშანიას) მიმართ. ალექსი შუშანია განმარტოებულ მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა. ამის მიუხედავად იგი უაღრესად საზოგადოებრივი პიროვნება იყო. თამამად გამოხატავდა თავის აზრს სარწმუნეობრივ-საზოგადოებრივ საკითხებზე. აგზავნიდა საპროტესტო წერილებს ეგზარხოსთან, აკრიტიკებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას სამეგრელოს სკოლებში, ეწეოდა საქველმოქმედო საქმინობს, მკურნალობდა ავადმყოფებს და მიუსაფარებს.

საღამო გაალამაზა მუსიკალურმა ნომრებმა ..კოლხური ტრიოს", ქართველი მომღერლების: მაია ჯაბუას, სალომე ბაკურაძის, თემურ თათარაშვილის შესრულებით. ,,ჩვენი ქალაქის დღეს" მუსიკალურად აფორმებდა დავით მაზანაშვილის ბენდი.

ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, სასულიერო პირები, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სენაკელები და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, გამოსვლისას აღნიშნა: ,,მოხარული ვარ, რომ ჩემი მერობის პერიოდში, საფუძველი კიდევ ერთ ლამაზ ტრადიციას ჩავუყარეთ - ჩვენი მშობლიური ქალაქის დღის აღნიშვნას. გმირების ქალაქი - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, მდიდარი ისტორიით, უნიკალური თეატრით, ნოქალაქევის ციხე-გოჯის სანახებით, სილამაზით გამორჩეული ხედებით, საერთაშორისო მნიშვნელობის

გზების და სარკინიგზო კვანძის არსებობით, ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალფეროვნებით... რაც მთავარია, გამორჩეული ადამიანური რესურსით - მაღალი ინტელექტუალური და კულტურული პოტენციალით, თითოეული ჩვენგანის საზრუნავია. წინაპრების კვალდაკვალ, ღირსეულად უნდა გავაგრძელოთ პატარა კოლხური ქალაქის ფასეულობები." საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, სენაკელებს ისტორიული დღე მიულოცა და ქალაქის

საამაყო წარსულზე, აწმყოსა და საიმედო მომავალზე ისაუბრა.

,,ჩვენი ვალია სრულყოფილად წარმოვაჩინოთ წინაპართა ღვაწლი. ახალ თაობას გავაცნოთ ყველა ის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძვრა, რაც ათეულობით წლებისს განმვლობაში ხდებოდა ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. გარდასულ დღეთა ამბის მოყოლა სიამაყის გრძნობით გვავსებს, მოკრძალებას გვიჩენს იმ სახელოვანი ადამიანებისადმი, რომლებიც დაიბადნენ და აღიზარდნენ სენაკში. მადლობა ჩამობრძანებულ სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას ამ შესანიშნავ საღამოში მონაწილეობისათვის"-აღნიშნა მან.

საღამოს დასასრულს სიმბოლურად მეგრული სიმღერა შესრულდა.

მედეა გალათურია

რას მოგვითხრობენ ძველი ჩანაწერები (გაგრძელება)

ლევ ტოლსტოი, ბერსი და ერისთავის ასული

„ვისაც ეს ქალაქი ხუთი და ექვსი თვის წინეთ უნახავს,დამეწმუნეთ, ის დიდს ცვლილებას დაინახავს აქ, თითქმის ცნობაც გაუჭირდება. ჩემზედ, რომელიც რამოდენიმე თვის უნახავი ვიყავი ამ ქალაქისა,ისეთი შთაბეჭდილება მოახთინა, რომ, სწორე უნდა მოგახსენოთ, აღტაცებაში მომიყვანა ამ ცვლილებებმა, რომელნიცა ჩემს უმყოფობაში აქ მომხთარან.

როგორც ცოტას ინვიმებდა აქ და ნამეტურ ზამთარში, ისეთი ტალახი იცოდა, რომ მუხლებამდი დიდ წაღებში თუ არ ბრძანდებოდით, სახლის კარებს ვერ გასცილდებოდით: იმდენი ღვთის წყალობა თქვენ, ჩემო მკითხველო და თქვენ მორჩილ მოსამსახურეს, ამის დამწერს,რამდენი წყვილი კალოშები ამ ახალ-სენაკის სადებო ტალახში აქაურებს და მომსვლელებსაც ჩარჩენოდეს. აწ იმედია ამაებს მოვრჩებით, მე დარწმუნებული ვარ,რა იმისთანა ნვიმიანი ზამთარი იქმნას მომავალში,სრულიად უკალოშოთ შეგიძლიათ გაიაროთ აქაურ ქუჩებზე; ისეთი სწორი და ფართე კენჭით მოყრილი ქუჩები გაუყვანიათ ყველგან,რომ სასურველია ამისთანა კარგი ქუჩები სენაკს კი არა რომელიმე ადგილებში თფილისსაც ქონდეს.

ამასთან, ადგილის ამოსაშრობათ ყველგან არხები გაუყვანიათ, ასე რომ ამ უკანასკნელ გარემოებას, გარდა იმისა, რომ ტალახსა სპობს, დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარულს და საზოგადოდ ჰაერის გაუმჯობესობაში...

ეხლა ერთიღა აკლია სენაკს, წყლის გაყვანა, რომელზედაც ამასწინეთ "დროებაში" იყო ნათქვამი რამოდენიმე სიტყვა, მაგრამ იმედია აქაური უეზდის უფროსი, ბერსი, რომლის ინიციატივით და მეცადინეობით ეს ქუჩები და არხები გაყვანილნი იქმნენ, წყლის გაყვანაზედაც იფიქრებს, საზოგადოებას რაშიდაც საჭიროა შეიწევს, ითავებს და ეცდება ჩვეულებრივათ ამ კეთილი საქმის გაკეთებას".

უკვე ვიცით, რომ "უეზდის" უფროსს ახალ-სენაკში წყლის საკითხიც შესანიშნავად მოუგვარებია და ვფიქრობ კიდევ სხვა კარგი საქმეებითაც დაამახსოვრა თავი აქაურებს. მაზრის უფროსად ნამსახურობის ექვსი წლის შემდეგ, სავარაუდოდ კარგი მუშაობისთვის, ალექსანდრ ბერსი ტოვებს ახალ სენაკს და მის უმშვენიერეს მეუღლესთან და ახალშეძენილ ვაჟთან – ანდრეისთან (დაიბ.გურიაში-1878წლის დეკემბერს; გარდ. საფრანგეთში 1935წ) ერთად ბათუმში გადადის საცხოვრებლად, რადგანაც 1879 წელს ინიშნება ბათუმის ქალაქის თავად.

1880-იან წლებში სამხედრო სამსახურში მყოფი ცნობილი მწერალი დავით კლდიაშვილიც მოუხიბლავს ფატი ერისთავის სილამაზეს, აი რას წერდა ის: "1882წელს ბათუმი ძალიან პატარა ქალაქი იყო, ქალაქის თავის, ლევ ტოლსტოის ცოლის ძმის – ბერსის მეუღლე – ერისთავის ასული, იყო არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი" .

აქვსენტი ცაგარელი კი თავის მემუარებში "მოგონებანი" თბილად იხსენებს ბათუმში თეატრალური დასის გასტროლებისას გაცნობილ ცოლ-ქმარ ბერსებს და ხაზს უსვამს ფატის სილამაზეს: "ოჯახურ დროს გატარებასაც არ ვიყავით მოკლებულნი, როგორც ზევით მოგახსენებთ, ბ. დურმიშხან ჟურულის ოჯახი ხომ იყო და იყო ჩვენთვის მუქთი სასტუმრო, არც სხვა ოჯახებმა დაგვტოვეს უყურადღებოდ. ამ ოჯახებში პირველი ადგილი ეჭირა დიდათ პატივცემულ პოლკოვნიკ ბერსის ოჯახს. პოლკოვნიკი ბერსი იყო ქალაქის უფროსი, ცოლად ჰყვანდა სიმშვენიერით განთქმული აწ განსვენებული ტურფა ფატი, გურული ერისთავის ასული.

ბ. ბერსი, საზოგადოდ დიდის ყურადღებით იყო ჩვენთან, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ყოველ ჩვენს თხოვნას ამ მხრივ დაუყონებლივ შეასრულებდა ხოლმე. ეს პატიოსანი სახლობა ყველა ჩვენს წარმოდგენას ესწრობოდა და ორჯელ დიდი ნადიმიც გადაგვიხადეს. თითონ ბერსი და მისი ნარნარა მეუღლე სათითაოდ ჩამოგვივლიდნენ და მოწიწებით გვთხოვდნენ დიდს და პატარას პატივი გვეცა და სანადიმოდ მივსულიყავით იმათთან. თქმა მეტი იქნება, როგორც ისინი ჩვენ დაგვხვდებოდნენ და გაგვიმასპინძლდებოდნენ ხოლმე. ასე და ამ გვარად მოვიარეთ ბათუმი."

დავუბრუნდეთ ფატი ერისთავისა და კონსტანტინე (კოწია) ერისთავის სიყვარულის ისტორიას; 1883 წლის მაისში ქუთაისში გაიმართა სასამართლო სხდომა, სადაც ბათუმში 1882 წლის 8 სექტემბერს გაძარცვისა და მკვლელობის განზრახვისათვის დაკავებული კონსტანტინე ერისთავი გაამართლეს. გაზეთ "დროების" 31 მაისის ცნობით: "მართლმსაჯულებამ აღადგინა ჭეშმარიტება:კოწია ერისთავი და ძმანი შაშიკაშვილები გაამართლეს. საზოგადოება აღტაცებაშია სამსჯავროს განჩინებისაგან და ვექილი გორდიევსკის სიტყვით, ეხლა ყველამ შეიტყო რა მდაბალის სულის გმირებმა შეთხზეს ეს დრამა..."

,,მდაბალი სულის გმირებში", ვფიქრობ, ჩვენი მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, უკვე ბათუმის ქალაქის თავი ა.ა. ბერსი იგულისხმება. ყველაფერი კი ასე იყო: პოლკოვნიკ ბერსის ახალგაზრდა მეუღლეს, 22 წლის ფატი ერისთავს და თავად კოწია ერისთავს, "23 წლის შნოიან, ტანწვრილ, მარდ ახალგაზრდას თავისი მიხვრა-მოხვრით რომ იზიდავდა მაყურებელთ თვალს", უყვარდათ ერთმანეთი. ფატი ერისთავი ხშირად ერთგულ მოახლეს ატანდა კოწიასთან წერილებს და მასვე სთხოვდა გაერკვია, ჰქონდა თუ არა თავადს სხვა ქალებთან კავშირი. პოლკოვნიკმა ბერსმა ამის შესახებ გაიგო, აქამდე სასურველ სტუმარს, ახალგაზრდა თავადს, სახლში მისვლა აუკრძალა და შეყვარებულთა შეხვედრები შეწყდა.

ამის შემდეგ კოწია ერისთავმა წერილი გაუგზავნა ფატის ნაცნობის ხელით და 8 სექტემბერს, გამთენიისას, შეხვედრა დაუთქვა, ფატისგანაც თანხმობა მიიღო იმავე ნაცნობის პირით შემოთვლილი, მაგრამ საბოლოოდ თავადი ერისთავი ბერსის დაგებულ მახეში აღმოჩნდა. საიდუმლო პაემანზე მისულ თავადს ბერსმა სახლი პოლიციელებით სავსე დაახვედრა, მას და მის თანმხლებ მეგობრებს მკვლელობასა და ძარცვაში დასდეს ბრალი, ერისთავს კი არ შეეძლო ეთქვა, რა უნდოდა ქალაქის უფროსის სახლში გამთენიისას. იგი ამბობდა, რომ ბერსთან უსიამოვნება მოუვიდა და თავად ქალაქის უფროსმა დაიბარა ამ დროს მოდი და მოვილაპარაკოთო. ამიტომაც მივედი კაცებითო – ირწმუნებოდა თავადი.

სიმართლე კი მას შემდეგ გამოაშკარავდა, როცა სხდომაზე გამოცხადდა მოწმე- ახალგაზრდა, რუსი ქალი – პოლკოვნიკ ბერსის ცოლის მოახლე და მისი მესაიდუმლე. მოახლემ სასამართლოზე გაამჟღავნა ფატისა და კოწიას სიყვარულის ამბავი და ისიც გაიხსენა, როგორ გაიგონა ერთხელ ოთახიდან ბერსის ხმამაღალი ტირილი და ფატის ხმა – "მაპატიე საშა".

1883 წლის 31 მაისს, დაახლოებით ცხრა თვის ძიების შემდეგ, სასამართლომ თავადი კოწია ერისთავი და მისი თანმხლებნი გაამართლა, თუმცა ამ დროისათვის ფატი და მისი მეუღლე უკვე საქართველოში არ ცხოვრობდნენ.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, როგორც ჩანს, ბერსმა აპატია ცოლს ეს სასიყვარულო სკანდალი, გავლენიანი ნათესაობის წყალობით 1882 წელსვე ქ. ორლოვის ვიცე-გუბერნატორად დაინიშნა და ოჯახით რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად.

სწორედ ქ. ორლოვში 29 ივლისს 1883 წელს დაიბადა მათი უმცროსი ვაჟიშვილი-ალექსანდრე ეს ცნობა დაცულია ორლოვის გუბერნიის ,,ადრესკალენდარში". ფატი ერისთავი რუსულ წყაროებში მატრონადაც მოიხსენიება.

დავუბრუნდეთ ისევ ანდრო ჩიჯავაძის მემუარულ ჩანაწერებს: ბერსმა "... ჯვარი დაიწერა და პატარა ხანს შემდეგ გაუყენა ახალი ქართველი ცოლი რუსეთისაკენ.ეხლა ისმება კითხვა, რა კაცი იყო ეს ბერსი ისეთი,რომ გურიაში გამომძიებლის თანამდებობაზე გამოგზავნულა ასე განუკითხავათ, რადგან ის მხოლოდ ტოლსტოის ცოლის ძმა იყო, ბერსმა ცოლი ჩაიყვანა რუსეთში და თავის წრეში გაატარ-გამოატარა დიდის სიამაყით,ფატის იმ წამსვე ბევრი მოტრფიალე გაუჩნდა.ქალი გაერთო საზოგადოებაში, კარგა ხანს თავი შეიკავა და ბოლოს მიატოვა ეს მაჭანკლობით ნაპოვნი ქმარი და გადაყვა გატაცებით ვიღაც მასზე შეყვარებულ პიროვნებას."

ანდრო ჩიჯავაძე რომ ტენდენციურად აფასებს ამ ისტორიას ცხადია, რასაც ფატის შემდეგი საქციელი ადასტურებს. კერძოდ ის, რომ ერისთავის ქალს არც კოწია უყვარდა და არც ბერსი: სულ მალე სკანდალი ისევ განმეორდა, ამჯერად ფატი-მატრონას შეურაცხყოფილმა ქმარმა 1884 წელს ეჭვიანობის ნიადაგზე დუელში გამოიწვია და მძიმედ დაჭრა ლორის- მელიქოვის ადიუტანტი სერგეი ალექსის ძე პისარევი(1855-1909), რომელიც სიკვდილს გადარჩა, მაგრამ სავარაუდოდ იძულებული გახდა ცოლად მოეყვანა ბერსის ნაცოლარი, ორი შვილის დედა, მათი განქორწინების შემდეგ 1887წელს. მათ საერთო შვილი არ ჰყოლიათ, ფატი გარდაიცვალა მეორე ქორწინებიდან თერთმეტი წლის შემდეგ, ახალგაზრდა, 36 წლისა. სხვა დეტალები ფატის შემდგომი ცხოვრების შესახებ ჩემთვის უცნობია.

არსებობს ილია ნაკაშიძის მეუღლის, ნინო ნაკაშიძის მოგონებების წიგნი "ლევ ტოლსტოის ახლოს", სადაც ჩანს, როგორი განაწყენებულია ლევ ტოლსტოის მეუღლე- სოფია ანდრეევნა ყოფილ რძალზე და ფატისადმი გამოწვეული სიძულვილი მთლიანად ქართველებზე გადააქვს. აი,რას ეუბნება ის მასთან სტუმრად მყოფ ნინოს: "უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ქართველები არ გვიყვარს. თქვენ უთუოდ იცით, რომ ჩემი ძმის, ბერსის ცოლი ქართველი ქალი – ფატი ერისთავი იყო და რა სიკეთე ვნახეთ იმისგან?"

ის, თითქოს ტოლსტოის ქართველები არ უყვარდა, დაუჯერებელია,რადგან მას ჰყავდა რამდენიმე ქართველი მეგობარი, ჰქონდა მათთან გულთბილი მიმოწერა და ურთიერთობები.ზედმეტია ლაპარაკი მის ზოგად დამოკიდებულებაზე საქართველოსთან დაკავშირებით. რაც შეეხება მის ცოლს, სოფია ანდრეევნას, ადამიანურად გასაგებია მისი გულისტკივილი საყვარელი ძმის ბედით გამოწვეული.

სენაკის მაზრის ყოფილი უფროსიალ. ბერსი, რომელსაც ჩვენს პატარა კუთხეში ექვსი წლის განმავლობაში მუშაობისას რამდენიმე კარგი საქმე გაუკეთებია, 1893წელს განთავისუფლდა სახელმწიფო სამსახურიდან, ცხოვრობდა მოსკოვში, ტოლსტოების ყოფილ სახლში, რომელიც მემკვიდროებით ერგო. იყო მოსკოვის მიწათმოქმედების ბანკის საბჭოს წევრი. დაჯილდოებული იყო 3 და 4 ხარისხის წმ.ვლადიმირის ორდენით.

მეორედ დაქორწინდა კოლეჟსკი ასესორის ქალიშვილზე – ანნა ალექსანდრეს ას მიტროფანოვაზე. მასთან ჰყავდა ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი-(ერთერთია გრაფინია ანნა ბერს-ფონ ზარნეკაუ).

რაც შეეხება ფატი ერისთავისა და ა.ა. ბერსის საერთო შვილებს, უფროსი ანდრეი ალექსანდრეს ძე ბერს-ერისტოვი იყო ოფიცერი, იბრძოდა თეთრ გვარდიაში, წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში და იქ გარდაიცვალა1935წ. ჰყავდა შვილი ალექსანდრე ანდრეის ძე(1902-1937),რომელიც იზრდებოდა ბაბუასთან დედის მხრიდან კ.ვ ენგელგარდტთან სმოლენსკის გუბერნიაში. სწავლობდა და ცხოვრობდა მოსკოვში ბაბუასთან მამის მხრიდან -სენაკის ყოფილ მაზრის უფროსთან- ა.ა. ბერსთან.

მისი შთამომავალია პატი ბერსი (ანგლ. Pატი Bეჰრს) —იგივე პატრიცია ერისთავი (1922—2004), ემიგრანტი სსრკ-დან, მამა-Aნდრე Bეჰრს-ის ქალიშვილი

მეორე ვაჟი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პორუჩიკი, გარდაიცვალა 23წლისა ცეცხლსასროლი ჭრილობებისაგან 1907წ.

სენაკის ისტორიით დაინტერესებულთათვის დავამატებ ამ ამბებთან დაკავშირებულ რამდენიმე დეტალს: ზემოთ მოთხრობილი სასიყვარულო ისტორიის სამკუთხედის გმირი-გურიის თავადაზნაურთა მარშალი, კონსტანტინე ერისთავი რაღაც საოცარი დამთხვევის წყალობით ზუსტად ოცი წლის მერე თავის ორ შვილს: გიორგის და მარიამს მოანათლიებს დაბა ახალსენაკის ცენტრში ალექსანდრ ბერსის მაზრის უფროსობის დროს აგებულ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, ნათლიებად იყვნენ: როტმისტრი, თავადი დიმიტრი გრიგოლის ძე მხეიძე, თავადი ელეონორა მიხეილის ას გურიელი; გენერალ-მაიორი თავადი პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძე და "სვეტლეიშაია კნიაგინია" ელენა ერასტის ასული ანდრეევსკაია-შარვაშიძე.

სენაკში კი ა.ა. ბერსის შემდეგ მაზრის უფროსად დაინიშნა გიორგი გურგენის ძე ბებურიშვილი (1879-1894).

ციცინო ყურაშვილი

(დასაწყისი იხ. 2024 წლის №13-14 კოლხეთი)

ორი მუზის ჯრფიალი

12 სექტემბერს სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა ავთანდილ რეხვიაშვილის ნახატების გამოფენა. ავთანდილი ზემო რაჭის სოფელ ჭიორაში დაბადებულ-გაზრდილი პიროვნებაა, რომლისთვისაც უფალს ორი მუზის - სპორტისა და ხელოვნების ტრფიალი დაუნათლავს. მარტო ტრფიალი არა, ნიჭიც, რომლის წყალობითაც ორივე სფეროში ტოლდაუდები შედეგები მოუპოვებია...

გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებული ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებამდე ამაღლებულა. იყო საქართველოს, უკრაინისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. რაც შეეხება მხატვრობას, როგორც თავად მოგვიყვა, მშენებარე სახლის კედელზე, ,,სადაც თავად მუშაობდა, ერთხელაც რამდენიმე ესკიზი გააკეთა, რომელიც მხაზველობითი გეომეტრიის პროფესორმა, ბიძინა არჩვაძემ ნახა, მოეწონა და მ.თოიძის სახელობის სასწავლებელში წამიყვანაო". აღნიშნულ სასწავლებელში ის სამხატვრო ტექნიკას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს დაეუფლა, რომელმაც საშუალება მისცა მომავალში შეექმნა ისეთი ფერწერული ტილოები, რომლებმაც აღიარება მოუპოვა. კერძოდ, ის არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალის ლაურეატი ფერწერაში (1987წ.), დაჯილდოვებულია საპატიო სიგელით ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის (2020წ.), ასევე საქართველოს მხატვართა კავშირის საპატიო დიპლომით შემოქმედებითი მიღწევებისთვის (2023წ.), არის ნომინაციაში - ,,ჩვენი დროის ადამიანები", რომელიც დააწესა ფაზისის მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს კავშირმა - ,,გიორგი", ერთ-ერთი გამარჯვებული. მოწყობილი აქვს არაერთი პერსონალური გამოფენა საქართველოს მხატვართა კავშირისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზებში. მის შემოქმედებაზე უსაუბრიათ სატელევიზიო გადაცემებსა თუ პრესის ფურცლებზე.

2023 წელს გამოცემულ წიგნში - ,,ფერწერული ნახატების მეექვსე პერსონალური გამოფენა" ა.რეხვიაშვილის ცხოვრება სრულადაა ასახული.

ჩვენი რესპონდენტის ბიოგრაფია გარდა ზემოაღნიშნულისა, საზოგადოებრივი მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვან მომენტებსაც მოიცავს, მას დამთავრებული აქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი და მუშაობდა არაერთ საპასუხისმგებლო სამსახურში - იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში კადრების მთავარი სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე, სამხედრო-საზღვაო ძალების კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე. ფოთის სამხედრო-საზღვაო ძალების ,,ჩრდილოეთის რაიონის" კადრების უფროსი. თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის მართვის ცენტრის კანცელარიისა და კადრების განყოფილების უფროსი, ცენტრის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის სასწავლო ნაწილის უფროსის მოადგილე, ასევე სამოქალაქო ციკლის უფროსი მასწავლებელი.

სამხედრო აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ორჯერ ვადაზე ადრე მიენიჭა კაპიტნისა და მაიორის წოდება. არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანი.

ასეთი მდიდარი ბიოგრაფიის ადამიანი მეტად თავმდაბალი და მოკრძალებული აღმოჩნდა. ,,მოხიბლული ვარ სამეგრელოთი და მეგრული სტუმართმოყვარეობით", გვითხრა მან, რაც შეეხება შემოქმედებას, ,,თვითოეულ სურათში სულსა და გულს ვდებ, ამიტომ ყოველი მათგანი შვილივით მიყვარსო". ისაუბრა დედაზეც, რომელიც შესანიშნავად ქარგავდა და ხატავდა თურმე, იმაზეც, 65 წლის ასაკში აქტიური სამხატვრო მოღვაწეობა როგორ დაიწყო. ასევე მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ სტრესზე, როცა ფერწერული ტილოების შექმნაში იურვებდა დარდს, ,,ხატვა ჩემი სულის თერაპია გახდაო"... ასევე ისაუბრა გამოფენის ინიციატორებზე და დასძინა ,,მინდა განსაკუთრებულად მოვეფერო მამა-შვილებს: ბადრი, გიორგი და თემურ ბარკალაიებს, რომლებიც ამ გამოფენის მოწყობის იდეის ავტორები და თანამდგომები არიან. მადლობა მათ".

ავთანდილ რეხვიაშვილის სურათების გამოფენა ერთ თვეს გაგრძელდება, ხელოვნების მოყვარულებს შეუძლიათ ეწვიონ გალერეას და გაეცნონ მხატვრის შემოქმედებას.

ორი მუზის ტრფიალს - ბატონ ავთანდილ რეხვიაშვილს, ჩვენი რედაქციის სახელით ვუსურვებთ შემოქმედებით წინსვლასა და წარმატებებს.

ნინო სართანია

ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი



რაულ ოდიშარია განეკუთვნება იმ ადამიანთა რიგს, რომელიც თავის ნიჭს და უნარს ქვეყნის აღმშენებლობას ახმარს. მან დიდი ენერგია ჩადო სასოფლო დანიშნულების ხიდების, გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების მშენებლობაში, მის სახელს უკავშირდება ნოსირში ორი კულტურის სახლის, სასოფლო საბჭოს შენობების აგება, გზაგამტარის, მდინარე ტეხურზე რკინიგზის ხიდის, ბათუმის გზებისა და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ამჟამად ბატონი რაული ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტს, ფოთის ხიდის მშენებლობის აწარმოებს. მდინარე რიონზე ფოლად-რკინაბეტონის ექვს მალიანი ხიდის მშენებლობის ღირებულება არის 34 მილიონი და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ამ ხიდის მშენებლობა ხელს შეუწყობს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ და უსაფრთხო გადაადგილებას.

ფოთის ხიდი E60-E70 ჩქაროსნული მაგისტრალის შემადგენელი ნაწილია. ჩქაროსნული მაგისტრალი უმოკლესი დამაკავშირებელი გზაა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის. მაგისტრალის მდებარეობის გათვალისწინებით იგი გახდება ძირითადი სატრანსპორტო რგოლი შავ ზღვას, კასპიის ზღვასა და ცენტრალურ აზიას შორის.

ბატონი რაული თვლის, რომ ეს საუკუნის პროექტია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისათვის.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრის, მრავალწლიანი სტაჟის მქონე მშენებლის, რაულ ოდიშარიას ბიოგრაფიას შრომისა და ცხოვრების დიდი გამოცდილება ამშვენებს. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდებით, არაერთი მედლით ნაყოფიერი საქმიანობისათვის. არის სენაკის საპატიო მოქალაქე. ტრადიციული ოჯახის თავკაცს, მზრუნველ მამას და ბაბუას ძალიან უყვარს სენაკი, ნოსირი და ნოსირელები, ის ადამიანები, რომლებთანაც სამსახურებრივი, პირადი, ნათესაობრივი კონტაქტები აქვს.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში, ღვთის წყალობას, მშვიდობას შინ და გარეთ....

მ. ეჯიბია

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის

ვახტანგ შურღაიას

გარდაცვალების გამო

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დოდო სერგიას ძმის

მურმან სერგიას

გარდაცვალების გამო

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33